



# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგეობა



TBILISI CITY MUNICIPALITY KRTSANISI DISTRICT ADMINISTRATION

№ 06-44/1507993  
20 03 2015 წ.

სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის  
დაცვის ეროვნული სააგენტო“-ს გენერალურ  
დირექტორს ბატონ ნიკოლოზ ანთიძეს

ბატონო ნიკოლოზ,

ცნობილია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკუთარი ექსკლუზიური უფლებამოსილებაა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურის ძეგლთა მოვლა-შენახვა, რეკონსტრუქცია და რეაბილიტაცია, რომლის საფუძველზეც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგებლის 2015 წლის 18 მარტის N77 ბრძანებით ქალაქ თბილისის კრწანისის რაიონში, ნარიყალას ციხესიმაგრის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით შეიქმნა საკონკურსო კომისია.

კომისიის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოდან მოწვეულ იქნეს სპეციალისტთა ჯგუფი, რომლებიც საკუნძურსო განაცხადისა და ტექნიკური დოკუმენტაციის შედგენაში დახმარებას გაუწევენ გამგეობას. ამასთან, თქვენმა უწყებამ 2014 წლის 27 ოქტომბრის N6/15/09/878 წერილით (სარეგ. N06/14304559-44) უკვე გამოთქვა მზადყოფნა საფორთიფიკაციო ძეგლის კონსერვაცია-რეაბილიტაციის საკითხში გამგეობისათვის გაეწია დახმარება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოგმართავთ თხოვნით, გამოგვიყოთ სპეციალისტთა ჯგუფი, რომლებიც აქტიურად ჩაერთვებიან საკუნძურსო დოკუმენტაციის სრულყოფილად შექმნაში დახმარება გაუწიონ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგეობას. ჩვენი ერთობლივი თანადგომით კი შესაძლებელი იქნება ძეგლის კონსერვაცია-რეაბილიტაციის წარმატებით შესრულება.

პატივისცემით,

კრწანისის რაიონის გამგებელი

გიორგი კოპალეიშვილი